

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N16

ქ.თბილისი

4 ნოემბერი, 2022 წელი

1400საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თაემჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე

აკაკი ალაძაშვილი

ლევან არველაძე

თორნიკე ბიკაშვილი

ვლადიმერ ბოჭაძე

საბა ბუაძე

ანა გოგოლაძე

ოთარ გრიგოლია

შოთა გრიგოლია

მამუკა გუგეშაშვილი

ლევან დავითაშვილი

ირაკლი ეძგვერაძე

ნინო ვარდოსანიძე

კომსტანტინე ზარნაძე

მარიამ ზაქარიაშვილი

ზაზა თავაძე

ანა კაკაბაძე

მიხეილ კაკაურიძე

ნინო ვარდოზ ვახეთელიძე

ნინო კვიტაშვილი

სალომე კობალაძე

ცოტნე კობერიძე

ზვიად კუპრავა

კახაბერ ლაბუჩიძე

ლილე ლიპარტელიანი

ნათაა მოდებაძე

ირაკლი ნადირაძე

შალვა ოგბაძე

გიორგი ონიანი

გურამ ოქროპირიძე

ლევან ქორქოლიანი

ნინო რუხაძე

რევაზ სოხაძე

დავით ფარცვანია

გიორგი ჩაკვეტაძე

ზურაბ ჩიკვილაძე

გივი ჩხარტიშვილი

ავთანდილ ცინცაძე

ნინო წულაძე

ირაკლი ხელაძე

ალექსანდრე ხუჯაძე

ლევან ჯაფარიძე

სოფიო ჯაფარიძე

ბარბარა ჯიმელი სულაშვილი

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ვლადიმერ ჭილლაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქაელაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეები: ვასილ აბულაძე და ოთარ ჩიტიძე;

შპს „თბილსერვის“ ჯგუფის „წარმომადგენელი დავით ჩანქესელიანი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი გიორგი აბუთიძე.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, მწუხარება გამოთქვა ვაკის პარკში მომზდარი ტრაგედიის დროს მარიტა მეფარიშვილის გარდაცვალების გამო, მიუსამძიმრა მის ოჯახს, თითოეულ თანამოქალაქეს და მიმართა საკრებულოს წევრებს, წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ მისი სსოფნისთვის, რის შემდეგაც, სხდომაზე დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო მარიტა მეფარიშვილის ხსოვნას. გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ მომზდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება და ყოველი ჩვენგანისთვის, მათ შორის თბილისის მერისთვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს ყველა კითხვას. მისი თქმით, ვაკის პარკში მომზდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით მალიან ბევრი რამ ითქვა - ვნახეთ ადამიანები, რომლებმაც ადევვატურად შეაფასეს მსგლელობა და აღნიშნეს, რომ ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია გამოძიების აქტიურად ჩატარება, რათა ყველა კითხვას გაეცეს პასუხი, თუმცა, სამწუხაროდ, იყო უარყოფითი დამოკიდებულება და ბევრი შეურაცხმყოფელი განცხადება. ამ ფონზე, საკრებულოს ოპოზიციურმა ფრაქციებმა, მოითხოვეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა, რომელზეც მოისმენდნენ ქალაქის მერის რიგგარეშე ანგარიშს ამ საკითხთან დაკავშირებით. გიორგი ტყემალაძის თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ გამოძიება აქტიურ ფაზაშია და არა მხოლოდ საკრებულოს, არამედ, ზოგადად, ადამიანების უმრავლესობას სწორად არ მიაჩნია ამ უდიდესი ტრაგედიის და სენსიტიური თემის პოლიტიკურ ჭრილში გადატანა, საკრებულოს უმრავლესობამ მიზანშეწონილად არ ჩათვალა, რომ ამ პერიოდში, ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩატარებულიყო საკრებულოს სხდომა. აქვე განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში, გაიმართება საკრებულოს სხდომა, რომელზეც თბილისის მერი წარდგება წლიური ანგარიშით და საკრებულოს თასალეულ წესის უკანასკნელი დასმის და მათზე პასუხების მოსმენის შესაძლებლობა. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ეს არ არის ჩვეულებრივი პოლიტიკური დებატები და თუ ვინმესთვის მნიშვნელოვანია, რომ ყველა კითხვას გაეცეს პასუხი და მომავალში განხორციელდეს პრევენციული ღონისძიებები, ეს არის თბილისის მერი. სწორედ ამიტომ, უმჯობესია დაველოდოთ გამოძიების შედეგებს და ვიყოთ სამუშაო რეჟიმში.

ნიკოლოზ კახეთელიძემ განაცხადა, რომ ბუნებრივია, ყველას აინტერესებს, თუ რა მოხდა რეალურად და ეს არის ის შემთხვევა, როდესაც აუცილებლად უნდა დაველოდოთ გამოძიების შედეგებს, რადგან ეს თემა ეხება საინჟინრო სფეროს და იმ ადამიანების ბრალეულობა, რომლებიც ჩართულები იყვნენ ამ საქმიანობაში, დამტკიცდება ან არ დამტკიცდება მხოლოდ შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. მისი თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით რაც შევიძლია ვთქვათ, არის ის, რომ ტენდერი ჩატარდა კანონმდებლობის სრული დაცვით, რაზეც პასუხისმგებელია შესყიდვების საგენტო, რომელსაც ტენდერის ჩატარების არცერთ ეტაპზე შენიშვნა არ ჰქონია და არც გამოძიებას აქვს ამ მიმართულებით რაიმე კითხვა. ამ ეტაპზე ყველა საინჟინრო მიმართულებით, თავისი რიგითობის მიხედვით, მიმდინარეობს ექსპერტიზა და აქედან გამომდინარე, დღეს რაიმეს თქმა ძალიან რთულია, რადგან შესაძლებელია ექსპერტიზის თუნდაც ერთმა დასკვნამ მთლიანად შეცვალოს ამ ეტაპზე არსებული სურათი. მისი თქმით, სწორედ ამ მიზანშის გამო არ საუბრობს დღეს ამ თემაზე კახა კალაძე და იქიდან გამომდინარე, რომ ის არის მაღალრეიტინგული ფიგურა, მისმა გამოსვლამ შესაძლებელია გავლენა იქონიოს მოწმეებზე ან იმ ადამიანებზე, რომლებიც ჩართული არიან ამ საქმიანი და გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით აზრის გამოთქმაც და მერის მოსმენაც უნდა მოხდეს გამოძიების დასრულების შემდეგ.

საბა ბუაძემ მიუსამძიმრა მარიტა მეფარიშვილის ოჯახს და განაცხადა, რომ „არ არსებობს არცერთი სიტყვა, რომელსაც ჩვენ დღეს აქ ვიტყვით, რომელიც ასეთი ტრაგედიის მერე ნუგეშის მიმცემი იქნება ოჯახისთვის“. აღნიშნა, რომ ვაკის პარკში მომზდარი ტრაგედიის შემდეგ, განსაკუთრებულად ნერვიულობს იმაზე, თუ როგორ უნდა გააგრძელოს მუშაობა, როგორც არჩეულმა თანამდებობის პირმა და რა უნდა გააკეთოს ისეთი, რაც მის საქმიანობას საკრებულოში აზრს მისცემს. ფიქრობს, რომ ამ უმძიმეს ამბავში არჩეული თანამდებობის პირების პასუხისმგებლობა განსაკუთრებული დიდია, რადგან ისინი უნდა იცავდნენ არა მხოლოდ მარიტას ოჯახის ინტერესებს, არამედ იმ თბილისელების ინტერესებს, რომლებიც ამ

ტრაგედიის მერე შეშინებული არიან, რადგან ჩვენ ვართ ისედაც უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი საზოგადოება, რომელიც კიდევ ძალიან ბევრი რისკისგან არის დაუცველი. საბა ბუაძის თქმით, ბუნებრივი ინსტიქტია ის, რომ ტრაგედიამ გააერთიანოს საზოგადოება, რომლის ნაწილიც არიან პოლიტიკოსებიც და შესაბამისად, მათი პოლიტიკური ინსტიტიც უნდა იყოს გაერთიანება, რათა ამ პრობლემას დაერქვას თავისი სახელი და შესარულონ მათი მთავარი ფუნქცია - აღარასდოროს დაუშვან მოხდეს ასეთი ტრაგედიები. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყნაში გრძელდება ძალიან ცუდი პრაქტიკა, რასაც ჰქვია „პოლიტიზების დემონიზება“ და რომ „პოლიტიკა არის ყველანაირი სიბინძურის ადგილი და პოლიტიკაში არ არსებობს არანაირი რაციონალური და ლირსეული მარცვალი, რომელსაც შეიძლება რომ ჩავეჭიდოთ და ვისმენთ იმას, რომ წუ ვახდენთ საკითხის პოლიტიზებას“. მისი თქმით, საკითხის პოლიტიზება არის აუცილებელი, რადგან სწორედ პოლიტიზება იმის გარანტი, რომ ეს იყოს ბოლო და არა მორიგი ტრაგედია ამ ქალაქში. სწორედ იმისთვის არსებობს არჩეული ორგანოები - ზედამხედველი დაწესებულებები, რომ დაისვას კითხვები და როდესაც კითხვების დასმა ხდება დემონიზების საგანი და საკრებულოს წევრებს არ ეძლევათ კითხვების დასმის შესაძლებლობა, ეს არის იმ უმძიმესი მდგომარეობის სიმპტომი, რომელშიც იმყოფება ჩვენი ქალაქი. საბა ბუაძე ფიქრობდა, რომ ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, კახა ვალაძე მოვიდოდა საკრებულოში და ისაუბრებდნენ ტრაგედიის გამომწვევ მიზეზებზე, რადგან საკრებულო არ არის პროცურატურა და საზოგადოებას ვერ ეტყვის, რომ „გამომიებას უნდა დაველოდოთ“. თუმცა, საზოგადოებამ, მერიის მხრიდან, დაინახა „სამარცხვინო დუმილი“, დაინახა, რომ დედაქალაქის მერი საკრებულოს წევრებს არ უშვებს მერიის შენობაში და აბალისას მცავრობის სხდომას ატარებს პოლიციის კორდონის თანხლებით, რაც ამ უმძიმესი ტრაგედიის ფონზე, არის საზოგადოების შეურაცხყოფა, რასაც აქვს თავისი ფასი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ გაუფასურდება საზოგადოებრივი მგრძნობელობა ასეთი ტრაგედიების მიმართ. საბა ბუაძემ განაცხადა, რომ ვაკის პარკში მომხდარ ტრაგედიას აქვს ორი გამომწვევი მიზეზი: კორუმპირებული კომპანიების სახელმწიფო შესყიდვებში წარმატებით მონაწილეობა და დანაშაულებრივი დაუდევრობა, რომლითაც ამ ქალაქში და ამ ქვეყანაში ხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები. საკრებულოს წევრების კითხვები დედაქალაქის მერთან მდგომარეობდა სწორედ ამ ორი მიმართულებით და ის, რომ თბილისის მერი თავს არიდებს ამ კითხვებს, თავისთავად არის იმის პასუხი, თუ როგორ უყურებს ის თავის მომავალს. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ თუ ვინმეს ეგონა, რომ კახა ვალაძე იყო განსხვავებული პოლიტიკური კაპიტალის მატარებელი და „ქართული ოცნების“ პარტიის განსხვავებული პოლიტიკური ლიდერი, მან ამ საქციელით დაადასტურა, რომ არაფრით განსხვავდება ღარიბაშვილისგან, კობახიძისგან, მდინარაძისგან და არცერთი იმ ადამიანისგან, რომელიც ამ ქვეყანაში აგრძელებს დემოკრატიისთვის მირის გამოთხრას.

ვლადიმერ ბოჭაძემ მიუსამძიმრა მარიტა მეფარიშვილის ოჯახს და მთელ ქვეყანას. განაცხადა, რომ „ჩვენ, ახლა, ყველანი, უნდა ვფიქრობდეთ იმაზე, რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ასეთი ტრაგედია არ განმეორდეს“, გამოეხმაურა საბა ბუაძის განცხადებას, რომ არ იცის როგორ გააგრძელოს მუშაობა და რა უნდა გააკეთოს და მიმართა მას: „მარიტას დაკრძალვის დღეს, ხომ კარგად იცოდი რა უნდა გეთქვა? რომ მხოლოდ ერთი ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხი დაგეყენებინათ, არ დალოდებოდით გამომიერას, არ დალოდებოდით მიზეზებს, რატომ მოხდა ეს უბედურება და ახლაც ამბობთ, კითხვები გვაქვს ქალაქის მერთან“. მისი თქმით, არ დასმულა არც ერთი კითხვა, რომელზე პასუხიც იმპოზიციას არ მოუსმენია მერისგან, ვიცე-მერისგან ან საკრებულოს თავმჯდომარისგან და არც ახლა დაუსვამს საბა ბუაძეს კითხვა, რომელსაც შესაძლებელია ელოდება საზოგადოება. ვლადიმერ ბოჭაძემ განაცხადა, რომ მას არ დავიწყებია 2007 წლის დეკემბერში მომხდარი ტრაგედია, როდესაც გარდაიცვალა 14 წლის ალექსანდრე პაპავაძე და მთელი ქალაქი „მცვლელ სტადიონებს“ ეძახდა მერიის მიერ აშენებულ მოედნებს და სტადიონებს. ასევე, არ დაავიწყდება 2009 წელს გარდაცვლილი 11 წლის საბა ქადარია და 9 წლის გიორგი ქინქლაძე. მისი თქმით, მაშინ მედია პირდაპირ წერდა, რომ „მერიამ ამაზე წაუყრუა“ და ოპოზიციას არ უცდია ტრაგედიებზე პოლიტიკური ქულების

დაწერა. ვლადიმერ ბოჟაძემ ისაუბრა, თუ რა რეაგირება მოჰყვა ვაკის პარკში მომხდარ ტრაგედიას და აღნიშნა, რომ ამ საქმეში ბრალდებულია ცხრა ადამიანი, მიმდინარეობს გამოძიება, რათა ზუსტად დადგინდეს, რა მიზეზით მოხდა აღნიშნული და რა უნდა გავთოს საკრებულოშ ამისთვის, რომ მსგავსი ტრაგედია აღარ განმეორდეს. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ასეთი ტრაგედია აღარ განმეორდეს და საზოგადოებამ იცოდეს, რომ დედაქალაქში გარემო არის უსაფრთხო.

ზვიად კუპრავამ განაცხადა, რომ მას პროკურატურამ ბრალი წაუყენა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დღეს, ყოფილი ძიუდოისტის, კახა ხაჩიძის, ცემასთან დაკავშირებით, რომელიც არის საკრებულოს წევრის ავთანდილ ცინცაძის მეგობარი. მისი თქმით, როგორც საკრებულოს წევრს, ანგარიშვალდებულად მიაჩნია საკრებულოს წევრებისა და საზოგადოებისთვის საქმის არსის ახსნა, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: კახა ხაჩიძის ჩვენების თანახმად, ზვიად კუპრავამ მას მიაყენა ფიზიკური ტკივილი გულ-მკერდის არეში, რაც დასტურდება სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ოქმით, რომელიც მან გამოიძახა ხუთი საათის შემდეგ, ხოლო კახა ხაჩიძის მეუღლის ჩვენების მიხედვით, კახა ხაჩიძესა და ზვიად კუპრავას შორის ფიზიკურ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. ზვიად კუპრავას თქმით, ეს არის იმის ნათელი მაგალითი, თუ როგორ „კერავს“ პროკურატურა და კახა კალაძე საქმეს მის წინააღმდეგ და როგორ დებს ბრალს მასზე გაცილებით მლიერი ფიზიკური მონაცემების ადამიანის ცემაში, რაც ცალსახად პოლიტიკურია. განაცხადა, რომ ერთადერთი პასუხი იმაზე, თუ რატომ წაუყენა მას ბრალი პროკურატურამ, შეიძლება იყოს შოთაძის ანტაგონიზმი, რადგან ფიქრობს რომ 2018 წელს, ზვიად კუპრავას იძულების შემდეგ მოუწია მას თანამდებობიდან გადადგომა და ასევე, კალაძის შურისძიება. საუბრის ბოლოს, გამოეხმაურა ვლადიმერ ბოჟაძის მიერ გაკეთებულ განცხადებას და მიმართა მას - „როდესაც გარდაცვლილი ბავშვების ჩამონათვალს დაიწყებთ, პირველი დაიწყეთ ბარბარე რაფალიანცით“.

ავთანდილ ცინცაძემ მიუსამძიმრა მარიტა მეფარიშვილის იჯახს, დარბაზში მსხდომ თითოეულ ადამიანს და მთელ საქართველოს. გამოეხმაურა ზვიად კუპრავას განცხადებას და აღნიშნა, რომ არავის სჭირდება მისი განეიტრალება, რადგან არაფერს წარმოადგენს. სამწუხაორი, ზვიად კუპრავას მხრიდან, საზოგადოება მიჩვეულია „ბინძურ და უტიფარ საქციელებს“ და სწორედ ასე იქცეოდა ის საარჩევნო უბანთან, როდესაც აგინებდა ქალბატონებს. ხოლო რაც შეეხება კახა ხაჩიძეს, ის არის წესიერი და პატიოსანი ადამიანი, რომელთანაც ზვიად კუპრავას, თავისი საქციელის გამო, შეექმნა უსიამოვნება. ავთანდილ ცინცაძის თქმით, საქმე აღმრულია არა მხოლოდ ზვიად კუპრავას მიმართ, არამედ კახა ხაჩიძის მიმართაც და გამოძიება დაადგენს, რა და როგორ მოხდა.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ ზვიად კუპრავას თქმით, მის წინააღმდეგ აწყობენ „შეთქმულების თეორიას“, თუმცა, ეს ასე არ არის, რასაც ადასტურებს ის, რომ საქმე აღმრულია არა მხოლოდ ზვიად კუპრავას მიმართ, არამედ, ორივე მხარის მიმართ და აღნიშნა, რომ დარწმუნებულია, გამოძიება იქნება ობიექტური და შესაბამისად, გადაწყვეტილება მიღებული იქნება ობიექტურობიდან გამომდინარე.

ცოტნე კობერიძე შეუერთდა ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის გამო გამოთქმულ მწუხარებას და განაცხადა, რომ „თითოეული ადამიანი თითოეული სამყაროა და ყველა სამყაროს დაკარგვა არის ძალიან, ძალიან დიდი ტრაგედია“. გამოეხმაურა კახა კალაძის საკრებულოში არმოსვლასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს და აღნიშნა, რომ არ სჯერა, რომ კალაძე საკრებულოში არ მოდის იმიტომ, რომ მიმდინარეობს გამოძიება, რადგან მთელი წლის განმავლობაში უამრავჯერ იყო დაბარებული, თუმცა არ მოსულა და მაშინ, როდესაც ეს არგუმენტი არ არსებობდა, უმრავლესობა ამბობდა, რომ არ უნდა ოპოზიციასთან მოსვლა და ამიტომ არ მოდისო. სწორედ აქედან გამომდინარე ფიქრობს, რომ კალაძეს ოპოზიციის დაპატიჟებულზე მოსვლა არ მოსწონს და განაცხადა, რომ „ნეტა მის დაპატიჟებულზე აქ“. ცოტნე კობერიძის თქმით, კახა კალაძე ამაყობდა იმით, რომ „ქურდებთან“ სტუმრობისას, ისინი ფეხზე წამოუდგნენ, მაგრამ საკრებულოში სტუმრობა არ

უნდა და ეთაკილება, რაც არის სირცხვილი, რადგან ქალაქის მერი ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე. ცოტნე კობერიძემ განაცხადა, რომ სამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაადგინოს გამოძიებამ, ხოლო პოლიტიკური პასუხისმგებლობა - პოლიტიკოსებმა და შესაბამისად, საკრებულოს ოპოზიციის წარმომადგენლებს აინტერესებთ არა ის, რომ კახა ვალაძე აღმოჩნდეს რაიმე დანაშაულში მონაწილე და დაიჭირონ, არამედ მისი პოლიტიკური პასუხისმგებლობა. მისი თქმით, კახა ვალაძეს არ ესმის ის, რასაც მიხვდა მისი ერთ-ერთი სამსახურის შალალჩინოსახი, რომელიც არ დალოდებია გამოძიებას და დატოვა დაცავებული განამდებობა, რადგან მიხვდა, რომ იყო პოლიტიკურად პასუხისმგებელი. აქედან გამომდინარე, ეს კითხვები უნდა დაისვას და მათ პასუხი უნდა გაეცეს. თუ კითხვებზე პასუხის გასაცემად ველოდებით გამოძიებას, გაუგებარია საიდან ვიცით, რომ გამოძიება დასრულდება დეკემბერში? შესაძლებელია კახა ვალაძე ისე მოვიდეს საკრებულოში ანგარიშის წარსადგენად, რომ გამოძიება კვლავ მიმდინარეობდეს და ამიტომ ოპოზიციის წარმომადგენლებმა კითხვები არ უნდა დასვან? ასევე, გაუგებარია, თუ რატომ იქნება კახა ვალაძე კითხვებზე პასუხის გასაცემად მზად დეკემბერში ან რა მომზადება სჭირდება იმას, რომ, როდესაც მილიონიანი ქალაქი გაძლევს ლეგიტიმაციას, უფლებამოსილებას და ბიუჯეტს და შემს მიერ მოყვანილი ხალხის გაკეთებულ საქმეს ეწირება ადამიანის სიცოცხლე, იგრძნო სხვა ტიპის პასუხისმგებლობა და უპასუხო კითხვებს. ცოტნე კობერიძემ განაცხადა, რომ საინტერესოა, რა უნდა იყოს ის ეტაპი, როდესაც კახა ვალაძე იტყვის, რომ თუ გამოძიებამ არაფერი დაადგინა, „მე გადავდგები, როგორც პოლიტიკური ფიგურა“ და ზოგადად, რა უნდა მოხდეს კიდევ დედაქალაქში, როდესაც გამოძიება იტყვის, რომ კახა ვალაძე უშუალო დამხამავე არ არის, მაგრამ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მერს უნდა გადადგეს. საუბრის ბოლოს, გამოთქვა მოსაზრება, რომ კახა ვალაძე ფიქრობს, რომ საზოგადოებას აქვს „მოკლე მეხსიერება“ და რამდენიმე კვირაში ეს თემა გადაივლის და ამიტომ არ თმობს თანამდებობას, თუმცა, მან რომ იცოდეს, სანამ ქალაქის მერი იქნება, მუდმივად ექნება ეს წინები და ეს თემა ზურგით ექნება სატარებელი, ცხადია დათმობდა თანამდებობას.

კონსტანტინე ზარნაძემ მიუსამბიმრა მარიტა მეფიარიშვილის ოჯახს და განაცხადა, რომ ყველამ ერთად, იმდენად რთული ერთი თვე გადავიტანეთ, რომ როგორც იტყვიან „ერთ თვეში დავბერდით“. ისაუბრა ამ ერთი თვის განმავლობაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე და აღნიშნა, რომ არის მომენტები, როდესაც პოლიტიკაზე მაღლა უნდა დავდგეთ. არ აქვს იმის მოლოდინი, რომ გაივლის რაღაც პერიოდი და არავინ დასვამს პოლიტიკურ შეკითხვებს, რადგან ოპოზიციას, ბუნებრივია, ექნება კითხვები, მაგრამ მისთვის გაუგებარია ზოგიერთი პოლიტიკოსის საქციელი, რომლებმაც განცხადებები გააკეთეს წინსწრებით, გამოძიების დაწყებამდე. კონსტანტინე ზარნაძემ განაცხადა, რომ სურს ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც ტრაგედიები არ იქნება პოლიტიკური სპეცულაციის საგანი და იარაღი ვიღაცის ხელში, რომ ვინმეს წინააღმდეგ პოლიტიკურად გამოიყენოს. მისი თქმით, მოსახლეობა დაიღალა პარტიული კინკლაობით და „თითითიდან გამოწვილი“ მიზეზებით ადამიანისთვის პიროვნული შეურცხყოფის მიყენებით და ფიქრობს, რომ ყველა ელოდება გამოძიების დასრულებას, რადგან თითოეულ ჩვენგანს სურს, ამ ქალაქში ბავშვები იზრდებოდნენ უსაფრთხოდ და დარწმუნებულია, რომ გამოძიება დადებს ისეთ შედეგს, რომელიც მოგვცემს სამართლიანობის განცდას და მომავალში თავიდან აგვაცილებს მსგავს ტრაგედიებს.

ნინო წულაძემ განაცხადა, რომ 13 ოქტომბერს, ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, საკრებულო დღეს პირველად შეიკრიბა და საკრებულოს წევრების, როგორც მერიის მაკონტროლებელი ორგანოს წარმომადგენლების, პირდაპირი ფუნქციაა ისაუბრონ არა მხოლოდ მერიის თანამდებობის პირების პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე, არამედ, მნიშვნელოვანია დაიწყონ საუბარი თბილისში არსებული საჯარო სივრცეების უსაფრთხოებაზე, რადგან 13 ოქტომბრის შემდეგ ყველა მოქალაქეს გაუჩნდა შიშის შეგრძნება და დაკარგული აქვს უსაფრთხოების აღქმა. ნინო წულაძე ფიქრობდა, რომ ეს პროცესი აქამდეც დაიწყებოდა და თბილისის მერიაში შეიკრიბებოდა ჯგუფი, რომელიც დაიწყებდა მუშაობას უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრაზე და გადახედვაზე, თუმცა, სამწუხაროდ, დღემდე არცერთი ქმედითი ნაბიჯი არ გადადგმულა ამ მიმართულებით და მას უჩნდება განცდა, რომ

არის იმის მოლოდინი, რომ რამდენიმე კვირის შემდეგ, ეს პროცესი „ამღვრეულ პოლიტიკურ დღის წესრიგში ჩაიკარგება“ და ცხოვრებას გავაგრძელებთ ჩვეულებრივ რეეიმში, მისი თქმით, ეს არ არის ისეთი ჩვეულებრივი ფაქტი, რომელიც ადრე თუ გვიან დაავიწყდებათ თბილისელებს და გადავიტანთ, რადგან ხალხი არის შეშინებული და მნიშვნელოვანია ჩვენი, საკრებულოს როლი, რომ თბილისის მოსახლეობას დაუბრუნდეს უსაფრთხოების აღქმა. ნინო წულაძემ ადნიშნა, რომ საზოგადოება ელოდება გეგმას და არა ფუჭ სიტყვებს და აქედან გამომდინარე, დღეს, საკრებულოში დაარეგისტრირა ორი სამართლებრივი აქტი, საკანონმდებლო ინიციატივის სახით და იმედი გამოთქვა, რომ მოხდება მათი საჯარო განხილვა. მისი თქმით, საჭიროა საჯარო სივრცეების, დასასვენებელი ადგილების, პარკების და სკვერების უსაფრთხოების აუდიტი იმისთვის, რომ ადამიანების გადაადგილება ამ სივრცეებში იყოს უსაფრთხო და ზემოთ ხსენებული საკანონმდებლო აქტების პროექტებში დეტალურად არის გაწერილი, თუ ვისი ორგანიზებით და პასუხისმგებლობით უნდა განხორციელდეს სამუშაოები და ეს უნდა იყოს დამოუკიდებელი ორგანო, რომელსაც ექნება საზოგადოების ნდობა. მისი თქმით, ასევე, მნიშვნელოვანია მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის რეფორმა, რომელიც, დღევანდელი სახით, ორიენტირებულია მხოლოდ მუნიციპალური ობიექტების დაცვაზე, თუმცა, მნიშვნელოვანია გაჩნდეს უსაფრთხოების კომპონენტი და სამსახურმა, რაიონულ გამგეობებთან ერთად, უზრუნველყოს საჯარო სივრცეებისა და დასასვენებელი ადგილების მონიტორინგი, რაც დააბალანსებს საზოგადოებაში არსებულ შიშს და გააჩენს განცდას, რომ მუნიციპალიტეტში არსებული სკვერები, პარკები და საჯარო სივრცეები არის უსაფრთხო. ნინო წულაძემ განაცხადა, რომ საკრებულოს უმთავრესი ამოცანაა ისაუბროს ქალაქში უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე და გამოძიების მიმდინარეობის პარალელურად, ისაუბროს მერიის იმ თანამდებობის პირების პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ვაკის პარკის შადრევნის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელებას, რათა შეიქმნას იმის პრეცედენტი, რომ გარკვეული სამუშაოს განხორციელებაზე აღმასრულებელი ხელისუფლებების წარმომადგენელმა აიღოს პასუხისმგებლობა და ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული საქმე. მისი თქმით, 2021 წლის დეკემბერში, ვახა კალაძემ, საკრებულოში თბილისის მთავრობის წევრების წარდგენისას, სამსახურების უფროსებზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო და თავად იყო ის უფლებამოსილი პირი, რომლის მიმართაც უნდა დასმულიყო შეკითხვები და სწორედ აქედან გამომდინარე, საკრებულოს წევრებს, ვაკის პარკის შადრევნის რეაბილიტაციის პროცესში შესრულებული სამუშაოების ტექნიკურ დეტალებზე მასთან აქვთ კითხვები, რომლებსაც უნდა გაეცეს პასუხები.

გიორგი ონიანმა მიუჟამძიმრა მარიტა მეფუარიშვილის ოჯახს, საკრებულოს წევრებს, თითოეულ თბილისელს და მთელ საქართველოს. განაცხადა, რომ მიუღებელია იმაზე საუბარი, თითქოს ოპოზიცია მოუწოდებდა კახა კალაძეს დაეტოვებინა თანამდებობა, რადგან ყველა ტელეეთერში და საჯარო სივრცეში, სადაც კითხვა დაისვა იმაზე, უნდა გადამდგარიყო თუ არა კახა კალაძე თანამდებობიდან ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის გამო, „ერთიანი ნაციონალური მომრაობის“ წარმომადგენლების პასუხი იყო ის, რომ აღნიშნული იყო კალაძის სიმძიმე და გადაწყვეტილება უნდა მიეღო მხოლოდ მას და თუ ვინმეს ჰკითხავდა რჩევას, ეს არც ოპოზიცია იქნებოდა და არც უმრავლესობა, ალბათ იქნებოდნენ მისი საუკეთესო მეგობრები ან ოჯახის წევრები. მისი თქმით, კალაძემ მიიღო გადაწყვეტილება და მას მოუწევს ამ სიმძიმის ტარება. გიორგი ონიანმა ისაუბრა „ერთიანი ნაციონალური მომრაობის“ მიერ ორი კვირის წინ წარდგენილ ინიციატივაზე, რომ თბილისის რომელიმე სკვერს დაერქვას რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ, უკრაინის თავისუფლებისთვის დაღუპულ ქართველ გმირთა სახელი და გაიხსნას შესაბამისი მემორიალი, თუმცა, სამწუხაროდ, ამ დროის განმავლობაში არც კომისია ჩანიშნულა და არც არანაირი ინტერაქცია მომხდარა ამ საკითხთან დაკავშირებით. განაცხადა, რომ ქართველი გმირებისთვის პატივის მიგება ერთადერთ შემთხვევაში იქნებოდა რთული - იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ხელისუფლებაში იქნებოდა რუსეთის მეფის ნაცვალი. თუმცა აღმოჩნდა, რომ მეორე ასეთი შემთხვევა არის ახლა, როდესაც საქართველოს ხელისუფლებაშია „ქართული ოცნება“. მისი თქმით, ეს არის სახელმწიფოს ინტერესების

ლალატი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან მისთვის წარმოუდგენელია, რომ საკრებულოს თავმჯდომარეს ან საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს ჰქონდეთ ისეთი პირადი განცდა, რომ არ უნდოდეთ ქართველი გმირების პატისაცემა და ამიტომ ფიქრობს, რომ მათ არ აძლევენ ამის საშუალებას. გიორგი ონიანმა განაცხადა, რომ გიორგი ტყემალაძე არის ნიჭიერი ადამიანი და მას რომ ჰქონდეს დირექტივა ან „ქართული ოცნების“ პარტიის პოზიცია იყოს ისეთი, რომ საკრებულომ იმუშაოს სრული დატვირთვით და კონტროლი განახორციელოს მერიაზე, ამას ის მარტივად მოახერხებდა. ცუმცა, სამწუხაროდ, პარტიას აქვს სხვა პოზიცია და ეს არის ის, რომ საკრებულომ კითხვები არ დაუსვას მერიას და „პრობლემა არ შეუქმნას“ მერიიდან შემოსულ არც ერთ საკითხს, რასაც საკრებულოს თავმჯდომარე მარტივად ახერხებს, მაგრამ, ეს არ არის კარგი ჩვენი ქვეყნისთვის და ქალაქისთვის. აქედან გამომდინარე, მიმართა გიორგი ტყემალაძეს: „გთხოვთ, თქვენი ნიჭიერება მიმართოთ იქით, რომ საკრებულომ რეალურად განვახორციელოთ კონტროლი, რეალურად დაგვიცათ კითხვები, „ქართული ოცნების“ ყველა ყველაზე არ ჰქონდეს ერთი და იგივე პასუხი, ყველა ინიციატივა ერთნაირად არ მოსწონდეს ოცდაცხრავე წევრს და საკითხთა განხილვას რეალურად ჰქონდეს შინაარსი“.

გიორგი ტყემალაძე განაცხადა, რომ სამწუხაროდ, უკრაინაში ჯერ კიდევ გრძელდება ომი და სახელდების საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება ამ პროცესის განმავლობაში მიზანშეწონილი არ არის. თუმცა, საკითხის განხილვის და ერთმანეთისთვის მოსაზრებების გაზიარების მიზნით, შესაძლებელია შეხვედრის ორგანიზება.

დავით ფარცანამ ისაუბრა ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ დატოვებაზე, განაცხადა, რომ ყველას აქვს არჩევანის თავისუფლება და დღეიდან საკრებულოში საქმიანობას გააგრძელებს როგორც დამოუკიდებელი დეპუტატი. ასევე, ისაუბრა სხვადასხვა სტრუქტურების დამოკიდებულებაზე საკრებულოს მიმართ და განაცხადა, რომ სახელმწიფოს აცლიან ძლიერ ინსტიტუტებს, რადგან არაერთხელ ვყოფილვართ იმის მომსწრეები, როდესაც ხდება საკრებულოს წიველიორება. მისი თქმით, საკრებულოს წევრებს არავინ დაუბარებიათ „საქმის გასარჩევად“, არსებობდა ლოგიკური კითხვები, რომლებზეც სურდათ პასუხების მიღება, მათ შორის იმაზე, თუ როგორ შეიძლება სამომავლოდ თავი დავიცვათ მსგავსი შეცდომებისგან; ხომ არ იყო ეს სისტემური ჩავარდნა და ხომ არ დააზიანა ინსტიტუტი აღნიშნულმა ჩავარდნამ; ხიდი ხომ ჩატყდა მოსახლეობასა და ინსტიტუტს შორის და რა არის საჭირო იმისთვის, რომ მოსახლეობასა და მერიას შორის აღდგეს ნდობა. ეს კითხვები არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი, რომლებზე პასუხი არის აუცილებელი და თბილისის მთავრობის წარმომადგენლები, მათ შორის ქალაქის მერი, რომლებიც ანგარიშვალდებული არიან საკრებულოს წინაშე, უნდა მოვიდნენ საკრებულოს სხდომაზე.

მამუკა გუგეშაშვილმა მიუსამბიმრა მარიტა მეფარიშვილის ოჯახს. ასევე, მიუსამბიმრა უკანასკნელ დღეებში უკრაინის ომში სამი გარდაცვლილი ქართველი მებრძოლის ოჯახებს და განაცხადა, რომ იზიარებს გიორგი ონიანის ინიციატივას, რომ რაიმე ფორმით მხარი დაუჭირონ და გვერდში დაუდგნენ მათ ოჯახებს, რადგან ისინი იბრძვიან ჩვენი შვილების თავისუფლებისთვის. მამუკა გუგეშაშვილმა ისაუბრა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებაზე, აღნიშნა, რომ მისთვის მნიშვნელოვანია საქართველო იყოს თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყანა. მისი თქმით, ქვეყანაში რომ მიტაცებულია ყველა ინსტიტუტი, ამის ნათელი მაგალითია წიკა გვარამიას პატიმრობაში დატოვება, რითიც ფაქტობრივად უარი ვუთხარით თორმეტი პუნქტის შესრულებას და ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივას. მამუკა გუგეშაშვილმა განაცხადა, რომ მას სურს, მომავალმა თაობამ იცხოვროს ბედნიერად, სურს ისაუბროს, რა იქნება მომავალში და არა ვლადიმერ ბოჟაძესავით ისაუბროს იმაზე, რა იყო გასულ წლებში და „ჩარჩეს წარსულში“. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ „ჩვენც აღარ ვიქნებით ოდესლაც ქვეყანაზე და ჩვენ, ჩვენი სახელი უნდა დავტოვოთ“.

ირაკლი ხელაძემ მიუსამბიმრა მარიტა მეფარიშვილის ოჯახს. აღნიშნა, რომ ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედია არ არის ის საკითხი, სადაც პოლიტიკოსები უნდა წყვეტდნენ, თუ ვისი ბრალეულობა ან პასუხისმგებლობაა აღნიშნული, რადგან ჩვენ ვცხოვრობთ სამართლებრივ

სახელმწიფოში და აღარ არის ის დრო, როდესაც გამომიება მიმდინარეობდა კონკრეტული თანამდებობის პირების ინტერესების გათვალისწინებით. დარწმუნებულია, რომ ყველა სამართლებრივი ეტაპის დასრულების შემდეგ, გამომიება დაადგენს მიზეზს, თუ რისგან იყო მომსდარი განპირობებული და გამოვლენილი იქნებიან დამნაშავეები, რომლებიც დაისჯებიან უმკაცრესად. მისი თქმით, ამ ტრაგედიას ოპოზიცია იყენებს საკუთარი პოლიტიკური ინტერესების დასაკამაყოფილებლად, რასაც საზოგადოება კარგად ხედავს და სწორად აფასებს, თუ ვინ არის გულწრფელი ამ პროცესში. მისი თქმით, ამ დღეების განმავლობაში, კახა კალაძის და საკუპულოს მიმართ ვისმენდიო „ათას სიზინძურეს“, მათ შორის იმას, რომ მომსდარში ადანაშაულებდნენ კახა კალაძეს, ოთხი შვილის მოზარდის მამას პირდაპირ დებდნენ ბრალს და თხოვდნენ პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღებას, რაც ბრალის დადების ნიშნავს. ასეთი ტრაგედიები უნდა გამოიძიოს შესაბამისმა სამსახურებმა და არა პოლიტიკოსებმა განსაზღვრონ დამნაშავე.

ნინო კვიტაიშვილმა მიმართა ირაკლი ზელაძეს - „თქვენ ახსენეთ, რომ გარკვეული ბრალდებები იყო კახა კალაძის მიმართ და ოთხი შვილი უყურებსო. მე მინდა გაგახსენოთ სისხლიანი ბანერები და იმ ბანერებზე გამოსახულ ადამიანებს რომ შვილები ჰყავთ, მათ შორის ნიკა გვარამიას, რომელიც ეხლა პოლიტიკური მართლმსაჯულების მსხვერპლია და სატუსაღოში იმყოფება. თუ კახა კალაძის შვილებისთვის არ არის სასამოვნო, არცერთ ბავშვს არ ვუსურვებ მსგავსი სცენების ნახვას, არც კახა კალაძის შვილებს“. ასევე, გამოეხმაურა სხდომაზე გაედრებულ ფრაზას „გამომიებას დაველოდოთ“ და განაცხადა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ იმ ქვეყანაში, სადაც „პოლიტიკურმა მართლმსაჯულებამ შეისხა ფრთები, სადაც გამომიება, პროკურატურა, სასამართლო ფაქტობრივად დიქტატურის რეჟიმში მუშაობს და ასრულებს კონკრეტული ადამიანების დავალებებს, ამიტომ ვერ მაქვს სამართლიანი გამომიების იმედი“. მან მადლობა გადაუხადა კრიტიკულ მედიას, რადგან, რომ არა ისინი, რეალურად ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის ირგვლის საქმის მასალების გასაჯაროებაც კი პრობლემა იქნებოდა და საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატების ხმას საერთოდ ვერ გაიგებდა მოსახლეობა. ნინო კვიტაიშვილმა აღნიშნა, რომ კახა კალაძემ, სოციალური ქსელის საშუალებით, საკუთარ თავს „კარგი მენეჯერი“ უწოდა და განაცხადა, რომ არსებობს კარგი მენეჯერის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მდგენელი: კომპეტენცია და პასუხისმგებლობა, რომელთაგან კახა კალაძეს არცერთი არ გააჩნია და აქედან გამომდინარე, ის თბილისის თანამდებობას იკავებს მხოლოდ პოლიტიკური მდგენელით და რადგან ის პოლიტიკოსია, პოლიტიკოსებს გვაქვს უფლება გვქონდეს პოლიტიკური მოთხოვნები და ამიტომ ვსაუბრობთ მის პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე და არა სხვა ტიპის, თუნდაც სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. აქვე განაცხადა, რომ კახა კალაძემ გამოავლინა დაბალი პოლიტიკური კულტურა, როდესაც მასთან მისულ საკრებულოს ოპოზიციონერ დეპუტატებს „რკინის ფარდად“ აღუმართა პოლიციის ეორდონი და მან უნდა იცოდეს, რომ ყველა ქვეყანაში, სადაც „რკინის ფარდა არსებობდა ან რაიმე გამყოფი კედელი, ყველა დაინგრა და ყველა დიქტატურა დაემსო“ და ასე მოხდება აქაც - ეს არის არა წინასწარმეტყველება, არამედ ისტორიის კანონზომიერება. ასევე, უნდა იცოდეს რომ, როდესაც ოპოზიციასთან კომუნიკაციისთვის ირჩევს მხოლოდ პიარს, პიარი მაშინ არის კარგი, როდესაც ასახავს ობიექტურ რეალობას და არა იმას, რომ აჩვენო მხოლოდ „საქმენი საგმირონი“ - თავს იპიარებდე ლამაზად მოწყობილი შადრევნით და შემდგომ არ იღებდე პასუხისმგებლობას ქალაქში დატრიალებულ ტრაგედიაზე.

გიორგი ჩაკვეტაძე შეუერთდა მარიტა მეფარიშვილის გარდაცვალების გამო გამოთქმულ მწუხარებას და მიუსამიმრა მის ოჯახს. ისაუბრა ვაკის პარკში მომხდარ ტრაგედიაზე და აღნიშნა, რომ აუცილებელია იყოს გამომიების დროული შედეგები, გამოიკვეთოს ყველა ის პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ამ კონკრეტულ დაუდევორობაში მიუძღვოდა ბრალი და რაც მთავარია, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მომავალში ჩვენ ქალაქში და ქვეყანაში აღარ მოხდეს მსგავსი შემთხვევები. სწორედ ამისთვის და არა „პოლიტიკური შოუსთვის“, დედაქალაქის მერმა მთავრობის სხდომაზე გასცა კონკრეტული ბრძანება, რომლის მიხედვითაც ყველა მომატებული რისკის მქონე ობიექტს, მათ შორის იმ ობიექტებს, რომლების

ექსპერტიზაც ჩატარებულია იმ საექსპერტო კომპანიის მიერ, რომელმაც განახორციელა ვაკის პარკის შადრევნის ექსპერტიზა, ჩაუტარდება შემოწმება, რაც გამორიცხავს მომავალში ნებისმიერ გადაცდომას და მით უმეტეს, რაიმე მძიმე შედევგს. გიორგი ჩაკვეტაძემ ისაუბრა თბილისის მერის საკრებულოში დაბარებაზე და მიმართა საკრებულოს ოპოზიციის წარმომადგენლებს: „თქვენ ვინც გაგიხარდებათ, ის დაიბარეთ და სადაც გაგიხარდებათ იქ დაიბარეთ. მაგრამ კახა კალაძე მოვა საკრებულოში მაშინ, როდესაც ეს არის რეგლამენტით გათვალისწინებული“. მისი თქმით, კახა კალაძე საკრებულოში მოვა მომავალი წლის ბიუჯეტის განხილვისას და ასევე, წარადგენს გასული წლის ანგარიშს, ხოლო საკრებულოს ოპოზიციონერი წევრების „პოლიტიკურ შოუში მონაწილეობის მისაღებად“ ის საკრებულოში არ მოვა. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ საკრებულოს უმრავლესობა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ რეგულაციები მაქსიმალურად იყოს გამართული, რათა ჩვენს ქალაქში ადგილი აღარ ჰქონდეს მსგავს შეტხვევას და ასევე, ყველანაირად ეცდება, რომ ყველა კითხვაზე გასცეს დროული პასუხი, რათა არ დაუშენა ოპოზიციის გარკვეული წევრების მხრიდან ტრაგედიის ვიწრო პოლიტიკური ინტერესებით გამოყენება.

ირაკლი ნადირაძემ მიუსამძიმრა მარიტა მეფეარიშვილის ოჯახს და მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც გადაარჩინეს შადრევანში ჩასული ორი ბავშვი. აღნიშნა, რომ არ აპირებს საკრებულოს უმრავლესობასთან დებატებში მონაწილეობას, რადგან მას და ოპოზიციის წარმომადგენლებს კითხვები აქვთ კახა კალაძესთან. ირაკლი ნადირაძემ ისაუბრა ვაკის პარკში მომხდარ ტრაგედიაზე და განაცხადა: „შადრევანს რომ გახსნი დიდი ზარ-ზეიმით, იქ რომ დაპატიჟებ ბავშვებს, მშობლებს და რამდენიმე საათში რომ დაიღუპება ანგელოზივით ბავშვი, აი, აქ არის პოლიტიკური პასუხისმგებლობა და უნდა გადადგე. აღარ სჭირდება ამას აღარც გამოიიხა და აღარც ექსპერტიზა“. ხოლო თუ ვისაუბრებთ სამართლებრივ საკითხებზე, უნდა ითქვას, რომ „პროექტი უვარგისია“ და თუ ექსპერტიზა იტყვის, რომ პროექტი კარგი იყო, ან კარგად იყო შესრულებული, ან დაცვის მექანიზმები მუშაობდა, რომ სწორად იყო გააკეთებული ტექნიკური ზედამხედველობა და რომ სწორი იყო მიღება-ჩაბარების შემდეგ, როდესაც უკვე დასრულებული იყო სამუშაოები, კიდევ დამატებითი სამუშაოების წარმოება, ბოდიშს მოიხდის. მისი თქმით, ფაქტია, თვალი დახუჭეს იმაზე, რომ შეირჩა კორუმპირებული კომპანია, რომ სამუშაოები შესრულდა უხარისხოდ, რომ ექსპერტიზა ჩატარებული იქნა თაღლითური კომპანიის მიერ, რომლის წარმომადგენლებსაც წარსულში დასკვნაზე ხელი აქვთ მოწერილი გარდაცვლილი ადამიანის ნაცვლად და რომ მუნიციპალური ზედამხედველობის სამსახურმა ტექნიკური ზედამხედველობა ვერ განახორციელა. ირაკლი ნადირაძეს არ სჯერა, რომ ეს ყველაფერი არ ხდებოდა დიდი კორუფციული სქემის გარეშე, ხოლო კორუფციაზე და თანხების განკარგვაზე ამ ქალაქში პასუხისმგებელი არის კახა კალაძე და სწორედ აქ ხედავს პოლიტიკურ და სამართლებრივ პასუხისმგებლობას. ის ფაქტი, რომ კახა კალაძე დაემალა და გაექცა საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე მოსვლას, ბევრ რამეზე მეტყველებს, თუმცა, მას მოუწევს საკრებულოს სხდომაზე მოსვლა, არა იმიტომ რომ ამის სურვილი აქვს, არამედ იმიტომ, რომ სხვა გზა არ აქვს. პირველივე დღიდან, ყველამ კარგად იცის მისი დამოკიდებულება - ამბობს, რომ თავად გადაწყვეტს, ვინ მივა საკრებულოს ფრაქციის სხდომაზე, საკრებულოს დეპუტატებს არ უშვებს მერიის შენობაში, არ მოდის საკრებულოს სხდომაზე და ამ საქციელით არღვევს კანონს. ირაკლი ნადირაძის თქმით, ფიქრობდა, რომ 13 ოქტომბრის შემდეგ რაიმე შეიცვლებოდა, ამ ქალაქში - ვიღაც დაფიქრდებოდა, ვიღაც პასუხისმგებლობას აიღებდა, ვიღაც დაისჯებოდა, მაგრამ, კახა კალაძე მველებური რიტორიკით აგრძელებს ისევ, რომ „მოვიცლი მაგათავისო“ და მიმართა თბილისის მერს: „ველოდებით და ჩვენც მოცლილები ვართ მაგ საკითხში, რომ ბოლომდე გაგაცემინოთ ყველა კითხვაზე პასუხი და გამოვაჩინოთ რომ ამ საქმეში ხარ დამნაშავე“. განაცხადა, რომ არავის და არც კახა კალაძის გულწრფელობაში ეჭვი არ ეპარება და დარწმუნებულია, რომ მან ეს ტრაგედია განიცადა. განაცხადა, რომ კახა კალაძისთვის ეს იქნება პირადი ტრაგედია მთელი ცხოვრება, მაგრამ მას ავიწყდება, რომ არის ქალაქის მერი და ამ ტრაგედიის უკან დგას, როგორც სამართლებრივი, ასევე, პოლიტიკური პასუხისმგებლობა და კახა კალაძეს რომ არ ჰქონოდა ესეთი დამოკიდებულება ოპოზიციასთან, უურნალისტებთან,

არასამთავრობო ორგანიზაციებთან, თავის დროზე რომ მოესმინა განსხვავებული აზრი და რაღაცაზე დაფიქრებულიყო, იქნებ თავიდან აგვეცილება ბევრი რამ.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები აღშფოთდნენ ირაკლი ხელამის სიტყვებზე, რომ ისინი ამ სიტუაციას იყენებდნ პოლიტიკურად და ცდილობენ ამ ვითარების თავის სასიკეთოდ გამოყენებას და მიმართა ირაკლი ნადირამეს: „შენ არ იყავი, რომ თქვი, კახა კალაძე დამწამევაო? მეტი რა უნდა თქვა? მეტი როგორ უნდა გამოიყენო შენ სასიკეთოდ? მეტი როგორ უნდა დაეცე, როცა იყენებ ამ უბედურებას შენ პოლიტიკურ სასიკეთოდ? შენ იწერ პოლიტიკურ ქულებს, გინდა დააზიანო კახა კალაძე იმისთვის, რომ ხვალ, არჩევნებში, მიიღო მეტი ხმა. ამაზე მეტი დაცემა რა შეიძლება რომ იყოს?“ მისი თქმით, როდესაც გინდა ვინმეს აჩვენო მორალი და თავად ორ წუთში იგივეს აკეთებ, ასეთი საქციელი ამოვარდნილია ყველანაირი მორალიდან. საუბრის ბოლოს აღნიშნა, რომ ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის მეორე დღეს ჩატარდა საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ სხდომა, სადაც დატრიალებული უბედურებიდან გამომდინარე, ფრაქციის წევრები ვერ ლაპარაკობდნენ, ხოლო ოპიზიციის წარმომადგენლებმა ჩატარეს ბრიფინგი კახა კალაძის დაბარებაზე და მის გადადგომაზე მაშინ, როდესაც გაერთიანებული უნდა ყოფილიყო მთელი საზოგადოება და აქედან გამომდინარე, გაუგებარია საერთოდ რამეზე როგორ ლაპარაკობენ.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს რამდენიმე წევრის გამოსვლამ გამოიწვია დიდი ვნებათა ღელვა და აქედან გამომდინარე, სხდომაზე მალიან მაღალი მუხტია. ამიტომ, უმჯობესი იქნება, შევწყიტოთ განცხადებების გაკეთება და გადავიდეთ დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვაზე. გიორგი ტყემალაძემ ბოდიში მოუხადა საკრებულოს იმ წევრებს, რომლებსაც არ მიეცათ განცხადებების გაკეთების შესაძლებლობა და მიიღო განცხადებების რეჟიმის შეწყვეტის გადაწყვეტილება, რის შემდეგაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა, პროტესტის ნიმად, დატოვეს საკრებულოს სხდომა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი აბუთიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ვლადიმერ ჭილაძე
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალავაძე
თანამომხსენებელი: ლევან მიქავა

3. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჩუღურეთის ხიდისთვის მწერლის გურაშ დოჩანაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

4. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჭოროხის ქუჩისთვის ფოლკლორისტის ანზორ ერქომაიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

5. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, თბილისის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის და ერთი შესახვევისთვის რეჟისორის, მხატვრის რევაზ გაბრიაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

6. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ვლადიმერ კანკავას ქუჩისთვის კომპოზიტორის, ლოტბარის გომარ სიხარულიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

7. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გაბრიელ სუნდუკიანის ქუჩის შესახვევისთვის ფოლკლორისტის კუკური ჭოხონელიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

8. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, კონსტანტინე ცუცქირიძის ქუჩის მონაკვეთისთვის და იორის შესახვევის მონაკვეთისთვის არქიტექტორის გიგა ბათიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

9. „ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, გრიგოლ რობაქიძის გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული სკვერისთვის მომღერლის, მუსიკოსის ჯემალ ჭუასელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

10. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მუხიანში, იოსებ ნონეშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მომღერლის ზურაბ ბაკურაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

11. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ნავთლულის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის საბერძნეთის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

12. „სსიპ ქალაქ თბილისის N220 საჯარო სკოლისთვის ზურაბ ძამუნაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: კახაბერ ლაბუჩიძე

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის N64-108 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: დავით ჩანქელიანი

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილებისშეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

16. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე 12 მე-16 ნაწილები, 125² მუხლი, 130 ემუხლის, მე 4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134¹ მუხლით, 135-ე - 135⁵ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევასას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12- მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125² მუხლით, 135-ე - 135⁵ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეო ფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

17. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M₂ და M₃ კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

18. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

19. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12 - მე-16 ნაწილებით, 125² მუხლით და 135³ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M₃ კატეგორიის და M₂ კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M₂ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის N1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

23. „ქალაქ თბილისში, ბაქოს ქუჩა N1a-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.08.003.055.01.528) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

24. „ქალაქ თბილისში, რაფაელ აგლაძის ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.05.013.024.01.045) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

25. „ქალაქ თბილისში, ხოშარაულის ქუჩა N27-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.05.004.130) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

26. „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N37, კორპუსი N1a-ში მდებარე 23.08 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.14.003.008.01.538) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

27. „ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.017.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

